ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის ისტორია იმგვარად განვითარდა, რომ ის თავიდანვე საუნივერსიტეტო ტრადიციასთან და შესაბამისად, სასწავლო პროცესთან მჭიდრო კავშირში ჩამოყალიბდა. აღმოსავლური ენების სწავლებასა და აღმოსავლეთმცოდნეობით კვლევებს საქართველოში იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენისაც თავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და საუნივერსიტეტო იდეას საქართველოში.

აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების კონცეფცია და სტრატეგია განუყოფელია ამ დარგის საუნივერსიტეტო სწავლების კონცეფციისა და სტრატეგიისგან.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიზანია, შეინარჩუნოს და გააძლიეროს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო სკოლის ტრადიციები და განახორციელოს სწავლება და კვლევა როგორც საკუთრივ ორიენტალისტიკური, ისე ქართველოლოგიური მიმართულებით, რადგან საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობას ყოველთვის ჰქონდა ეს ნიშანი - მისი საკვლევი პრობლემატიკა უშუალო და მჭიდრო კავშირში იყო ქართველოლოგიურ პრობლემატიკასთან.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი მიზნად ისახავს, მისცეს სტუდენტს დარგის თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი განათლება აღმოსავლეთმცოდნეობითი პროფილის სასწავლო პროგრამებით, მოამზადოს დარგის კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სწავლების სამივე - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურებზე, აწარმოოს კვლევა კოლეგიალურ

აკადემიურ გარემოში და შექმნას სამეცნიერო–კვლევითი პროექტები ინოვაციური მიდგომებით, საერთაშორისო სასწავლო-კვლევითი ცენტრების ჩართულობითა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით.

აღმოსავლეთმცოდნეობის ქართული სამეცნიერო სკოლა ჩამოყალიბდა, როგორც ქართველოლოგიური კვლევების სამეცნიერო ფუნდამენტის განმტკიცების საშუალება და ის ყოველთვის ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ორმხრივ ისტორიულ ურთიერთობებზე (ლიტერატურულ, ენობრივ, ისტორიულ, კულტურულზე) იყო აქცენტირებული, რაც განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონთან მრავალსაუკუნოვანი კვეთებით, თუმცა, ბუნებრივია, ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ინტერესები ორმხრივი ურთიერთობების კვლევით არ ამოიწურება.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის კვლევისა და სამეცნიერო ინტერესთა სფერო საკმაოდ ვრცელია და მოიცავს აღმოსავლეთმცოდნეობის, მათ შორის, შორეული აღმოსავლეთის რეგიონის კვლევების (ფილოლოგიის, ისტორიის, ფილოსოფიისა და რელიგიათა ისტორიის, კულტურისა და რეგიონმცოდნეობის) მრავალ ასპექტს. კერძოდ, ლინგვისტურ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსიკოლოგიურ (სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ), დიალექტოლოგიისა და დიალექტების, შუა საუკუნეების და თანამედროვე აღმოსავლური პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის, პოეტიკისა და ვერსიფიკაციის საკითხებს, ყურანისა და ისლამოლოგიის, პალეოგრაფია-ეპიგრაფიკის, აგრეთვე ტექსტოლოგიის, წყაროთმცოდნეობის პრობლემატიკას.

ეს მიმართულებები ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო სკოლის კვლევის ტრადიციული მიმართულებებია და მსოფლიო ორიენტალისტიკური ცენტრებისთვისაც საკმაოდ აქტუალური.

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის განსაკუთრებული ინტერესის სფეროა თარგმანი და აკადემიური მთარგმნელობითი საქმიანობა (გამოცემულია და გამოიცემა აღმოსავლური წყაროებისა და ისტორიული დოკუმენტების კომენტირებული თარგმანები, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე აღმოსავლური ლიტერატურის შედევრების მაღალმხატვრული ქართული თარგმანები, ისწავლება და იკვლევა მთარგმნელობითი პრობლემატიკა.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასევე განსაკუთრებული ყურადღების საგანია სწავლებასთან დაკავშირებული სასწავლო-მეთოდური გამოცემები - საუნივერსიტეტო სასწავლო სახელმძღვანელოები, ქრესტომათიები, ლექსიკონები, სასწავლო ცნობარები და სხვ. რაც აღმოსავლეთმცოდნეთა მომავალი თაობის აღზრდასა და მომზადებას ემსახურება.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Educational and Scientific-Research Institute of Oriental Studies

From the beginning, history of the School of Oriental Studies in Georgia developed in close connection with university traditions and, therefore, with educational process. History of the study of Oriental languages and research of Orient is as old as Tbilisi State University itself and the idea of University in Georgia.

Therefore, the concept and the strategy of teaching and researching Oriental studies are an integral part of the concept and the strategy of university education in this field.

Aim of the Educational and Scientific-Research Institute of Oriental Studies of the TSU Faculty of Humanities, is to preserve and strengthen traditions of the school of Georgian Oriental Studies and carry out research and teach in the fields of Orientalistics, as well as Kartvelology (Georgian studies); Oriental studies in Georgia was always characterized with this feature – topic of research being directly and firmly connected with the Kartvelology issues.

Aim of the Educational and Research-Scientific Institute of Oriental studies is to provide students with education of modern standards using educational programs of Oriental profile; prepare competitive and highly qualified specialists on all three levels of studies – bachelor's, master's and doctoral; conduct research within collegiate academic environment and develop scientific-research projects with innovative approaches, involvement of international educational and research centers and sharing international experience.

Direction of scholarly research

Georgian school of Oriental studies was established as the means to strengthen scholarly foundation for Kartvelology research and it was always focused on bilateral historic relations (literature, language, history, culture) of the Middle East and Georgia which was a result of our country's connection with this region throughout the centuries; however, it is natural that interests of Georgian Orientalists is not limited to the research of bilateral relations.

Scope of educational and research interests of Educational and Scientific-Research Institute of Oriental Studies is quite vast and covers numerous aspects of research of Orient, including Far East region (philology, history, philosophy and history of religion, culture and regional studies). In particular, Linguistics (morphology and syntax) and Vocabulary (semantics and etymology), Dialectology and Dialects, Medieval and Modern Oriental Poetry and Prose, History of Literature and Theory, Poetics and Versification issues, Quran and Islamology, Diplomatics, Numismatics, Paleography-Epigraphy, as well as, questions of Textology and Source Studies.

These are traditional directions for the Georgian school of Oiental Studies, as well as quite significant for the world's Orientalistic centers.

Special interest of Educational and Scientific-Research Institute of Oriental Studies lays in academic translation activities (Institute publishes translations of oriental sources and historical documents with accompanied comments, high-level translations of medieval and modern literature masterpieces), issues related to translations are taught and examined.

Educational and Scientific-Research Institute of Oriental Studies of the TSU Faculty of Humanities also pays considerable attention to the educational-methodological publications connected with teaching – University teaching manuals, readers, dictionaries, teaching references, etc. that serves to and aims raising and preparing new generations of Orientalists.